ცხოვრების მიზნად სიმართლე გქონდეს და სიყვარული მოძმეთა ვალად!

29 (9920) • 18 ivlisi • 2011 w.

gazeTi gamodis
1931 wlis 5 ianvridan

ალიონი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ყოველკვირეული გამოშვება
ფასი 20 თეთრი

დიპლომატიურ კორპუსს, საერთაშორისო ჟურნალისტურ გაერთიანებებს, საქართველოს ხელისუფლებას, საზოგადოებას

უკვე კვირაზე მეტია, არ წყდება ჟურნალისტების საპროტესტო აქციები.

ქართველი ფოტორეპორტიორები - გია აბდალაძე, ირაკლი გედენიძე და ზურაბ ქურციკიძე - კვლავ პატიმრობაში რჩებიან, მიუხედავად იმისა, რომ დღემდე არ ყოფილა წარმოდგენილი მათი ბრალის დამადასტურებელი ფაქტობრივი მტკიცებულებები.

საეჭვო ვითარებაში, იძულებით მიღებული აღიარებები ვერ გვარწმუნებენ ფოტორეპორტიორების ჯაშუშობაში.

ამ ადამიანების ღამეულმა დაკავებებმა, მათ მიმართ განხორციელებულმა საპროცესო ქმედებებმა, საქმის მასალების გასაიდუმლოებამ, ჟურნალისტების საპროტესტო აქციებისა და შეკითხვების მიმართ ხელისუფლების ცინიკურმა დამოკიდებულებამ და სატელევიზიო ინსინუაციებმა, დამოუკიდებელი მედიის და საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის აღშფოთება გამოიწვია. ჩვენ მომხდარს აღვიქვამთ, როგორც შურისძიებას და დევნას სიმართლის ასახვის გამო, რაც ხელისუფლების მიერ დემოკრატიულ განვითარებაზე ფაქტობრივად უარის თქმას ნიშნავს.

მიგვაჩნია, რომ ასეთი ქმედებები, რომელზეც პასუხისმგებლობა ეკისრება, პირველ რიგში, პრეზიდენტს და ძალოვანი უწყებების პირველ პირებს, ლახავს ჩვენი, როგორც მედიის წარმომადგენლების უფლებებს, და უდიდეს ზიანს აყენებს ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო იმიჯს.

მივმართავთ საერთაშორისო საზოგადოებას, საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსს, საერთაშორისო ჟურნალისტურ გაერთიანებებს, არ მოადუნონ ყურადღება ამ საქმესთან დაკავშირებით.

მივმართავთ საქართველოს ხელისუფლებას, გაითვალისწინოს ჟურნალისტებისა და საზოგადო მოღვაწეების წერილობითი შუამდგომლობა და თავდებით გაათავისუფლოს გია აბდალაძე, ირაკლი გედენიძე და ზურაბ ქურციკიძე; მაღალი საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, საჯარო გახადოს საქმის მასალები; შეწყვიტოს ჟურნალისტების დევნა მათი პროფესიული საქმიანობის გამო.

საქართველოს პრესის ასოციაცია
საქართველოს რეგიონული მედიის ასოციაცია

ოზურგეთელი ჟურნალისტების საპროტესტო აქცია

11 ივლისს, შინაგან საქმეთა სამინისტროს გურიის სამხარეო მთავარი სამმართველოს წინ ოზურგეთელმა ჟურნალისტებმა, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა ცოცხალი ჯაჭვი გააკეთეს. აქციის მონაწილეები დაკავებული ფოტორეპორტიორების, საქართველოში ევროპის ფოტოსააგენტოს წარმომადგენლის, ზურაბ ქურციკიძის, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს და გაზეთ „ალიას“ ფოტორეპორტიორის გიორგი აბდალაძის და პრეზიდენტის პირადი ფოტოგრაფის ირაკლი გედენიძის მხარდასაჭერად იყვნენ შეკრებილნი.

აღნიშნული აქცია საქართველოს ეთიკის საბჭოს მიერ იყო ორგანიზებული და იგი პარალელურად თბილისსა და ბათუმშიც ჩატარდა.

აქციაში მონაწილეობდნენ გაზეთების „გურია ნიუსის,“ „ალიონის,“ „გურიის მოამბეს,“ „გურიის დროს,“ ტელეკომპანია „გურიას“ ჟურნალისტები, არასამთავრობო ორგანიზაციების საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირის, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის, ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის წარმომადგენლები. აქციაში მონაწილეობა ოზურგეთელმა „თავისუფალმა დემოკრატებმაც“ მიიღეს.

მომდევნო დღეებში ჟურნალისტების წარმომადგენლები საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს ვანო მერაბიშვილს შეხვდნენ.

ბოლო ინფორმაციით, ჟურნალისტებმა აღიარებითი ჩვენებები მისცეს. ჟურნალისტთა სოლიდარობის აქციები გრძელდება.

გარდაიცვალა ცნობილი ქართველი მწერალი ოტია იოსელიანი



რა არის ერის ფუძე? საწყისი და სასრული? დედა მშობელი, წარსული, აწმყო და მომავალი, ვინაობა, გვარი, ჯიში თუ ჯილაგი?

ენა –ერის სული!

რაა ერი, რაა ქვეყანა? ვინაა, თუ არა ენა?

ენა და მხოლოდ ენა!

ოტია იოსელიანის ესსედან „ენა–ერის სული.“

რატომ გაათავისუფლეს სკოლის დირექტორები?

მოსწავლეთა მიერ ეროვნულ გამოცდებზე ნაჩვენები შედეგები სახელდება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ასკანის, გურიანთის, კვირიკეთის, კონჭკათის და ჯუმათის საჯარო სკოლების დირექტორების ნინო მამალაძის, იზო შათირიშვილის, ნაილი გრძელიძის, რომან სირაძის და ნესტორ მეგრელაძის გათავისუფლების მიზეზად. აღნიშნული პიროვნებები საზოგადოებაში კარგი ავტორიტეტით სარგებლობენ და მათმა გათავისუფლებამ ბევრი მითქმა-მოთქმა გამოიწვია.

გათავისუფლების ზუსტი მიზეზის დადგენის მიზნით, ოზურგეთის რესურსცენტრის ხელმძღვანელს, ქალბატონ ლელა იმედაშვილს დავუკავშირდით. ქალბატონმა ლელამ იმ მოტივით, რომ შვებულებაში იმყოფება, კომენტარზე უარი განაცხადა. ასევე უარი განაცხადა კოლეგების გათავისუფლებასთან დაკავშირებით კომენტარზე, ქ. ოზურგეთის №4 საჯარო სკოლის დირექტორმა ტარიელ კალანდაძემ.

ანონიმი რესპონდენტი (განათლების მუშაკი): გათავისუფლებულ სკოლის დირექტორებიდან ნაწილს კარგი თვალით არ უყურებდა ხელმძღვანელობა. ნაწილი კი კარგა ხანია „შავ სიაში“ იყო იმის გამო, რომ წინა არჩევნებზე არც თუ დიდი აქტიურობა გამოიჩინეს. (ერთ-ერთი მათგანის ოჯახის წევრი ადრე ოპოზიციასთანაც თანამშრომლობდა). ეროვნული გამოცდების შედეგები უბრალო მიზეზი იყო მათ გასათავისუფლებლად...

გურიის თავისუფალი დემოკრატების მიმართვა საზოგადოებას!

ჩვენ თავისუფალი დემოკრატები საჭიროდ ვთვლით საზოგადოებას მივაწოდოთ მცირე, მაგრამ ამომწურავი ინფორმაცია იმ ინციდენტთან დაკავშირებით, რომელსაც მოჰყვა ე.წ. „ნაციონალური მოძრაობის“ წევრთა ვნებანი.

06.07.2011 წელს ოზურგეთის საკრებულოში თემურ სალუქვაძემ, თავისუფალი დემოკრატების სახელით, გააკეთა განცხადება, რომელსაც მცირე ინციდენტი მოჰყვა. კერძოდ, ჩვენ, თავისუფალმა დემოკრატებმა აღშფოთება გამოვხატეთ ეკლესიის, პატრიარქისა და ქართული საზოგადოების აზრის გაუთვალისწინებლად კონფესიებისათვის საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით.

ამასთანავე, ამავე განცხადებაში საკრებულოს დეპუტატებს მოვუწოდეთ, დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია ზემოხსენებულ საკითხთან დაკავშირებით. ამ მეტად მნიშვნელოვან საკითხზე მსჯელობიდან თავის აცილების მიზნით, ნაციონალური მოძრაობის მხრიდან აქცენტი გადატანილ იქნა განცხადებაში ხსენებულ გამონათქვამ „ეგრეთწოდებულ ნაციონალურ მოძრაობაზე“, რომელიც მათთვის შეურაცხმყოფელი აღმოჩნდა და, რომლის გარშემოც ატეხილი აჟიოტაჟის შემდეგ, მათ თავი აარიდეს უხერხულ შეკითხვაზე პასუხის გაცემას.

მიგვაჩნია, რომ ხალხის რჩეულებს თავიანთი პიროვნული პოზიცია ამ მეტად სერიოზული პრობლემისადმი აუცილებლად უნდა დაეფიქსირებინათ. პასუხის გაცემის ნაცვლად, ნაციონალურმა მოძრაობამ არჩია ემოციურად გაუწონასწორებელი, სრულიად არაკვალიფიციური და პოლიტიკურად გაუმართლებელი ნაბიჯი გადაედგა, რაც გამოიხატა ლანძღვა-გინებითა და ღვარძლით გავსებული თხზულების გამოქვეყნებით ადგილობრივ მედიასაშუალებებში.

უსახელო და უგვარო თხზულების გამოქვეყნებით, ნაციონალურმა მოძრაობამ კიდევ ერთხელ დაადასტურა ცნობილი ჭეშმარიტება იმის შესახებ, რომ ლანძღვა-გინება იწყება მაშინ, როცა არგუმენტები აღარ გაქვს, ან ინტელექტი არ გყოფნის შენს პოლიტიკურ მოწინააღმდეგეს კონკურენცია გაუწიო.

ვაცხადებთ, რომ თავისუფალ დემოკრატებს ჩვენი მიზნების მიღწევაში ხელს ვერ შეგვიშლის ნაციონალური მოძრაობის წევრთა პასკვილარული ჟანრის ნაშრომ-ნაღვაწი და ჩვენ საზოგადოებასთან ერთად, მათ აუცილებლად გავუშვებთ ხელისუფლებიდან. ასევე მივმართავთ ამ თხზულების ავტორსა და თანაავტორებს, მეტი გონიერება და წინდახედულობა გამოიჩინონ ამგვარი ნაბიჯების გადადგმამდე.

ასევე გვინდა შეგახსენოთ, რომ ხშირ შემთხვევაში, პოლიტიკური რეჟიმის მოჯამაგირეები ამავე რეჟიმის მსხვერპლნი ხდებიან. და რაც უფრო ადრე გაეცლებიან ისინი ხელისუფლებას, მით უფრო ნაკლებ პრობლემებს შეუქმნიან ქვეყანასა და საკუთარ თავს.

(ღ) გურიის თავისუფალი დემოკრატების სახელით
საკრებულოს დეპუტატი **თემურ სალუქვაძე**

ბახვის გზის რეაბილიტაცია დაიწყო



საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ დაფინანსებულ დვაბზუ-ბახვის გზის 5 კილომეტრიანი მონაკვეთის რეაბილიტაციის სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული შპს „გზამშენი-18“ ასრულებს.

როგორც „გზამშენი-18“-ის უფროსმა თემურ ჯახვამ გვითხრა, პროექტის ღირებულება 1 502 000 ლარია. სარეაბილიტაციო სამუშაოები დაწყებულია და იგი სექტემბრის ბოლოს დასრულდება. ახალი ასფალტის საფარი დაიგება ბახვის გადასახვევიდან სოფლის ცენტრამდე. პროექტი სოფლის ცენტრის კეთილმოწყობასაც ითვალისწინებს.

„თუ სახელმწიფოს და მისი მეთაურის ნება იქნება, ქვეყანაში მეჩაიეობა კარგად განვითარდება“

მარი კოძოევი

ოზურგეთის ადგილობრივი ხელისუფლება აცხადებს, სოფლის მეურნეობის, კერძოდ, მეჩაიეობის განვითარება პრიორიტეტად მიაჩნიათ.

–„მეჩაიეობა იყო და უნდა დარჩეს ჩვენი მუნიციპალიტეტის პრიორიტეტულ მიმართულებად. მისი განვითარება განაპირობებს დასაქმებას. ამასთან ერთად, გადამუშავებული პროდუქციის გასაღებით მუნიციპალიტეტში შემოვა თანხები.

აგვისტოს თვიდან ჩვენ დავიწყებთ სოფლის განვითარების სტრატეგიის მომზადებას. მოხდება ყველა დარგის დეტალური შესწავლა, განიხილება არსებული მდგომარეობა, პრობლემები და გადაწყვეტის გზები. ამ დარგებს შორის იქნება მეჩაიეობაც. მუშაობაში მეწარმეები და ფერმერებიც ჩაერთვებიან. ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხი იქნება ჩაის პლანტაციების აღდგენა-რეაბილიტაცია. დღეისათვის ერთ-ერთ პრობლემას წარმოადგენს ჩაის ნედლეულის ხარისხი და მცირე რაოდენობა. არის პლანტაციები, რომელთა მძიმე გასხვლის შედეგად შესაძლოა ხარისხიანი პლანტაციების მიღება“–განაცხადა ჟურნალისტებთან შეხვედრისას საკრებულოს თავმჯდომარე ალეკო მამეშვილმა.

–„ჩაიზე მოთხოვნა გაიზარდა. ჩვენ გვინდა ხელი შევუწყოთ საწარმოების განვითარებას. დღეისთვის ოზურგეთში არის ოთხი მძლავრი და რამდენიმე ათეული მცირე საწარმო. ფიზიკური პირები და ინდ. ეწარმეები საკუთარი ძალებით საკმაოდ ხარისხიან პროდუქციას უშვებენ“–გვითხრა მუნიციპალიტეტის გამგებელმა გია ტაკიძემ.

ამ განცხადებების გაკეთების შემდეგ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები ჟურნალისტებთან ერთად ჩაის გადამამუშავებელ საწარმოებს ესტუმრნენ.

პირველად ხელისუფლების წარმომადგენლებმა ანასეულის ჩაის ფაბრიკა და მის საკუთრებაში არსებული პლანტაცია დაათვალიერეს. არსებულ მდგომარეობაზე სტუმრებს ფაბრიკის დირექტორი, საკრებულოს დეპუტატი გია ხუჭუა ესაუბრა.

ხუჭუას თქმით, ჩაის პროდუქციაზე მოთხოვნა დიდია და გასულ წელს გამოშვებული პროდუქციის სრული რეალიზაცია მოახერხეს. ისინი მაღალხარისხიან და ბიოლოგიურად სუფთა პროდუქციას აწარმოებენ (მათ პლანტაციაში მხოლოდ ორგანული სასუქი შეაქვთ). ანასეულელთა ნაწარმს აგემოვნებენ სერბიაში, უკრაინაში, მოლდოვაში.

გია ხუჭუამ ჟურნალისტებთან განაცხადა, რომ მათ ანასეულში, საკუთრებაში 50 ჰექტარი ჩაის პლანტაცია აქვთ. ასევე აქვთ პლანტაციები არენდით აღებული. ჩაის მოვლა-მოყვანაზე 200 ადამიანია დასაქმებული, ხოლო უშუალოდ ფაბრიკაში–32.

მან სტუმრებს მოცვის წვენიც დააგემოვნებინა და აღნიშნა, რომ აქვთ მოცვის პლანტაციებიც, რომლის მოვლა-განვითარებაზეც აქტიურად ზრუნავენ.

შემდეგ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა ზვანში, „გეოპლანტს“ ესტუმრა. მათთან საუბარში საწარმოს ხელმძღვანელმა მურმან ჩოგოლაშვილმა ახალ ტექნოლოგიებზე გაამახვილა ყურადღება. აღნიშნა, რომ მათ მფლობელობაში ნარუჯა-ლაითურის ტერიტორიაზე 950 ჰა ჩაის ფართობია, საიდანაც ნედლეულს 420 ჰექტარზე იღებენ. აქ 420 მკრეფავია სეზონზე დასაქმებული. საწარმოში 55 ადამიანია დასაქმებული, რომელთა საშუალო ანაზღაურება 300 ლარს შეადგენს.

ხელისუფლებამ სოფ. წითელმთაში ილარიონ ბასილაშვილის მცირე საწარმო მოინახულა. სტუმრებთან დანარჩენი მეწარმეებისაგან განსხვავებით, ბასილაშვილმა იმ პრობლემებზე ისაუბრა, რომლის გამოც მხოლოდ მცირე წარმოებით კმაყოფილდებიან და გაფართოების საშუალება არ აქვთ.

–„ჩვენთვის ყველაზე დიდი პრობლემა ისაა, რომ არ გვაქვს საკმარისი რაოდენობის ჩაის პლანტაციები. დიდი ხანია ვცდილობთ, მაგრამ ვერ მოვახერხეთ. ეს მაშინ, როდესაც დიდი წილი პლანტაციებისა ტყე-ბუჩქნარითაა დაფარული. საქართველოს პრეზიდენტის აღგილზე რომ ვიყო, ჩემისთანა მეწარმეს საჩუქრად გადავცემდი ჩაის პლანტაციებს. მოვუვლიდით, მოვკრეფდით, გადავამუშავებდით. ადამიანებსაც დავასაქმებდით და ნედლეულის გაყიდვიდან თანხა შემოვიდოდა. ჩვენმა პრეზიდენტმა ალბათ არ იცის რა მდგომარეობაშია მეჩაიეობა გურიაში, თორემ უკეთესად იქნებოდა საქმე. ყოველ შემთხვევაში მე იმედი მაქვს, რომ არ იცის და ამიტომ არ სწორდება მდგომარეობა. თუ სახელმწიფოს და მისი მეთაურის ნება იქნება, სოფლის მეურნეობის ამ დარგში მდგომარეობა გამოსწორდება, რაც გააუმჯობესებს რეგიონის ეკონომიკას“–აღნიშნა ბასილაშვილმა.

მდგომარეობის გაუმჯობესებამდე კი ილარიონ ბასილაშვილი რამდენიმე სახეობის ჩაის ამზადებს, მათ შორის მოცვისას და ინოვაციურ სახეობას, რომელიც მოცვისა და ჩაის ფოთლის შერევით მზადდება.

„ბლექ სი გრუპი“ ოზურგეთში ასფალტის ქარხანას აშენებს

ნუგზარ ოთარიშვილი

შპს „კომპანია ბლექ სი გრუპი“, როგორც ქართულ-თურქული ერთობლივი საწარმო 2005 წელს ჩამოყალიბდა და პირველსავე წელს მისი განვითარებისათვის 70 მილიონი ლარი ჩაიდო. ამ კომპანიის მთავარი საწარმო კასპის რაიონის სოფ. ახატანშია. ეს კომპანია წარმატებით მუშაობდა სამხრეთ საქართველოში. ახლახან იგი ჩვენს რეგიონში შემოვიდა და ქალაქგარეთ, ექადა-ლიხაურის საზღვარზე, ყოფილი მეფრინველეობის ფაბრიკის ტერიტორიის ნაწილზე, 2,5 ჰექტარზე ასფალტის ქარხანას აშენებს.

როგორც შპს „კომპანია ბლექ სი გრუპის“ სამუშაოთა მწარმოებელმა თენგიზ გოგიშვილმა გვითხრა, ასფალტის ქარხანა უახლოეს ხანში დამონტაჟდება. აქვე იქნება ქვის სამტვრევი საამქროც. ქარხანა საათში 120 ტონა ასფალტს გამოუშვებს.

„კომპანია ბლექს სი გრუპს“ მდინარე ნატანების აუზში აქვს კარიერი, საიდანაც 40 000 კბმ. ინერტული მასალის მოპოვების უფლება აქვს. მთ ახლა მდ. აჭისწყლის აუზშიც აქვთ კარიერი, საიდანაც 245 000 კბ. მეტრი ინერტული მასალის მოპოვება შეუძლიათ. რა გავლენას მოახდენს ამ რაოდენობის ინერტული მასალის ამოღება მდ. აჭისწყლის ხეობაზე, ეს ცალკე თემაა, მაგრამ ამ ეტაპზე საუბრობენ, რომ თანამედროვე ტექნოლოგიით აღჭურვილი ასფალტის ქარხნის აგება დიდად წაადგება გურიაში გზების მშენებლობას.

თენგიზ გოგიშვილისაგან ისიც გავიგეთ, რომ ახალ საწარმოში 70 ჩამოყვანილი კვალიფიციური მუშახელი დასაქმდება, რომლებიც ძირითადად ტექნიკაზე იმუშავებენ. ქარხნის ტერიტორიაზე აშენდება საცხოვრებელი სახლი, მოეწყობა კვების ბლოკი და ა.შ.

შპს „გზამშენი-18“ სპეციალისტები დადებითად აფასებენ ოზურგეთში ასფალტის ქარხნის აგებას და ამბობენ, რომ ეს ხელს შეუწყობს ასფალტის

საზაფხულო სკოლა

ქეთევანის მონაყოლმა, ბავშვების ოვაციებმა დაგვაინტერესა და გული იმედით აგვივსო, ბავშვობაში დაგვაბრუნა.

„კვიცი გვარზე ხტისო“ - ნათქვამია. ქეთევან ქადიეშვილი ხომ საუკეთესო მსახიობის ატატო ბებურიშვილის შთამომავალია (შვილის შვილიშვილი მამის მხრიდან), ხოლო დედის მხრიდან აღ. ღლონტის (დედის, ქ-ნი ეთერის ბიძა). მისთვის უცხო არ არის ლექსთან ჭიდილი (წერდა მამაც, ვ. ქადიეშვილი). ყველას აღფრთოვანებს მისი მეგობრული ექსპროტები, წერს სცენარებს, აწყობს შეხვედრებს. მთელი თავისი საზოგადოებრივი საქმიანობით არის სიხარულის მომნიჭებელი. „იცხოვრე და სხვაც აცხოვრე“ – აი, მისი დევიზი. არ მახსოვს სხვისი ღვაწლი დაეჩრდილოს. აღიარებს სხვის დედოფლობას, თავად კი იმპერატრიცაა. ეს ხდება ისე ბუნებრივად...

„ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის “... ამბობს პოეტი. არა და არა. შეიძლება ღონისძიებაზე დასმულ შეკითხვას ვინმემ პასუხი ვერ გასცა, მაგრამ, ყოველივე ილექება მონაწილის გონებაში და სადღაც, ცხოვრების რომელიმე ეტაპზე აუცილებლად წარმოჩინდება. , მაშინ წარმოჩინდება ქეთევან მასწავლებლის სწავლებანი.

ვუსურვებ მას ყოველივე კარგს, ჯანმრთელობას, დისშვილების კარგ ადამიანებად ჩამოყალიბებას. ბევრი პროექტის მოპოვებას, წარმატებით განხორციელებას, ახალგაზრდული მხნეობის და ნოვატორული უნარის სიცოცხლის ბოლომდე შენარჩუნებას.

ოზურგეთის თეატრის სახელით,
ღრმა პატივისცემით,

ადამიანი ცნობილია თავისი ცნობისმოყვარეობით, სკოლა მით უფრო.

შეიძლება მასწავლებელმა თავისთვის იქნებ აღმოაჩინა რაიმე კიდეც, მაგრამ, ვისთვისაც ის სკოლაში დადის, იმათთვის ეს სამყარო მეცნიერულად, ტექნოლოგიურად, ფსიქოლოგიურად ხომ აღმოსაჩენია (რა თქმა უნდა ბავშვის „ჭორიკნობის“ უნარსაც ხომ გააჩნია).

თეატრი კიდევ ოდითგან ისეთი ორგანიზმია, სადაც ყველაზე ცნობისმოყვარე ადამიანები იკრიბებიან. ცნობისმოყვარეთა შორის კი ყველაზე ცნობისმოყვარე მე-5 საჯარო სკოლა ჩვენი ყველაზე ხშირი და გამორჩეული სტუმარია. ცოტა ხნით კი ჩვენ ვიყავით მათი სტუმრები, როცა სკოლამ ორი კვირით გააგრძელა თავისი აღმზრდელობითი არსებობა და საზაფხულო სკოლის პროექტით თავი მოუყარა 70-მდე აღსაზრდელს ოზურგეთისა თუ საქართველოს სხვადასხვა ქალაქის სკოლებიდან. პროექტს ქ-ნი ქეთევან ქადიეშვილი ხელმძღვანელობდა.

სხვადასხვა დღეებში მოწვეული სტუმრები ესაუბრებოდნენ ბავშვებს ლიტერატურაზე, მეცნიერებაზე, მედიცინაზე, პოეზიაზე, ზოგადსაკაცობრიო თემებზე.

10 ივლისს, ღონისძიების შემაჯამებელ შეკრებაზე გამოჩნდა, რა შთაბეჭდილებები დატოვა სტუმრებმა ბავშვებზე.

ავარია სოფ. ოზურგეთში

შაბათს ქ. ოზურგეთში მორიგი ავარია დაფიქსირდა. ქალაქიდან სოფ. ოზურგეთისკენ მიმავალი მსუბუქი ავტომანქანა, რომელშიც 3 ახალგაზრდა მამაკაცი იმყოფებოდა, მდ. ნატანებზე ხიდზე გადავარდა. ავარიის შედეგად სამთავე ახალგაზრდამ სხეულის სხვადასხვა ხარისხის დაზიანება მიიღო. ერთ-ერთი მგზავრი ოზურგეთის საავადმყოფოდან რეანიმაციულ ქ. ბათუმში გადაიყვანეს, მას სხეულის მძიმე დაზიანება აქვს. მსუბუქი ავტომობილის მძღოლი ა. ფირცხალაიშვილი და კიდევ ერთი მგზავრი ოზურგეთის ცენტრალურ კლინიკურ საავადმყოფოში იმყოფებიან.

ახალგაზრდა მამაკაცმა ხელები დაისერა

ოზურგეთის ყოფილი აგრარული ბაზრის ტერიტორიაზე ახალგაზრდა მამაკაცმა ხელები დაისერა. იგი დახლებს შორის წაიქცა და კარგა ხანს იყო ამ მდგომარეობაში. როგორც აქ მოვაჭრეებმა გვითხრეს, მათ საპატრულო პოლიცია გამოიძახეს, რომლებმაც სასწრაფო-სამედიცინო სამსახურს დაურეკეს.

ხელებდასერილი მამაკაცი, მოგვიანებით საპატრულო პოლიციამ და სასწრაფო სამედიცინო სამსახურის ბრიგადამ საავადმყოფოში გადაიყვანეს.

ექიმების თქმით, ჭრილობა საშიში არ იყო და საავადმყოფოდან პაციენტი რამდენიმე საათში გაწერეს.

„არაჩვეულებრივი გამოფენა გურიაში“

ნუგზარ ასათიანი

გასულ პარასკევს, ოზურგეთის სახვითი ხელოვნების ცენტრ-სურათების გალერეაში საქართველოს მხატვართა კავშირის მიერ ორგანიზებული საქართველოს მხატვრების „არაჩვეულებრივი გამოფენა“ გაიხსნა, სადაც წარმოდგენილია ფერწერული, გრაფიკული ნამუშევრები, ქანდაკება. ირაკლი ფარჯიანის, მიხეილ იაშვილის, გია ბუღაძის, ვ.ემალ კუხალაშვილის, ზურაბ გაბუნიას, კობა ციხელაშვილის თამაზ კაკაბაძის, მერაბ აბრამიშვილის, რომან დურმიშიძის და კიდევ 25 ცნობილი მხატვრის 39 ნამუშევარია წარმოდგენილი ამ გამოფენაზე.

გამოფენის გახსნაზე საქართველოს მხატვართა კავშირის თავმჯდომარის მოადგილის, პაოლო იაშვილის შვილიშვილის მიხეილ იაშვილის თქმით, ეს არის ძირითადად გასული საუკუნის 80-იანელების საუკეთესო წარმომადგენლების გამოფენა, რომლებმაც „პერესტროიკის“ პერიოდში უცხოეთში გასვლა მოახერხეს და იქ არაერთი გამოფენა მოაწყვეს. შემდეგ ამ ნამუშევრებიდან ბევრი უცხოელებმა შეიძინეს, ბევრი გაჩუქეს. ახლა კი დადიან საქართველოში, ხვდებიან ხალხს. იყვნენ რაჭაში, აჭარაში, სამეგრელოში, კახეთში. ჯავახეთში, ახალქალაქში 60 ნამუშევარი აჩუქეს საგამოფენო დარბაზის გასახსნელად.

საქართველოს მხატვართა კავშირის რწმუნებულმა აჭარაში ალექსანდრე ჩხიკვიშვილმა აღნიშნა, რომ ოზურგეთი არის საქართველოს ერთ-ერი კარგი ქალაქი, სადაც ასეთი დაფასება აქვს მხატვარს. რადგან გასული საუკუნის 90-იანელი ბევრი ნიჭიერი მხატვარი დაიკარგა ქაოსში, გადაიხვეწა უცხოეთში ან ჩავადა დეპრესიაში.

ოზურგეთის სამხატვრო გალერეის დირექტორ ავთანდილ თავართქილაძის თქმით, ეს არის სახვითი ხელოვნების ცენტრი, სადაც ასეთი დონის გამოფენები ხელს უწყობს ურთიერთობების განვითარებას, მომავალი თაობების მუშაობას, თავად ცენტრის განვითარებას.

ხელოვნებათმცოდნე ლია ურუშაძემ, გურიის მხატვართა ორგანიზაციის თავმჯდომარე თამაზ დარჩიამ და მხატვარმა ვახტანგ მამეშვილმა ისაუბრეს ასეთი გამოფენის მნიშვნელობაზე.

ვახტანგ მამეშვილის თქმით, ხელოვნება არის მშვენიერება, რომელიც ადამიანს უკვდავებისაკენ უბიძგებს.

გამოფენის მონაწილეებს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ალეკო მამეშვილი მიესალმა.

ოზურგეთის კულტურული ცხოვრების არქივის გადასარჩენად

წელს, მარტში მომხდარი ხანძრის გამო განადგურდა ოზურგეთის კულტურის ცენტრში დაცული არქივი, რომელსაც წლების მანძილზე აგროვებდა კულტურის სფეროს დამსახურებული მუშაკი ნაზი ჩავლეშვილი. აქ თავმოყრილი და დამუშავებული იყო ფოტო, საგაზეთო და სხვადასხვა ხასიათის მასალა. იგი ოზურგეთის კულტურულ ცხოვრებას ასახავდა 1937 წლიდან–კულტურის სახლის დაარსების დღიდან.

არქივის აღდგენა, თუნდაც ნაწილობრივ, ძალიან მნიშვნელოვანია, რათა მომავალ თაობებს შეექმნას უფრო სრულყოფილი წარმოდგენა იმ ადამიანების შესახებ, რომლებმაც თავიანთი საქმიანობით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს არამარტო ოზურგეთის კულტურის სფეროს ცხოვრებაში.

ოზურგეთის კულტურის ცენტრის მცდელობას, აღადგინოს არქივი, უკვე გამოეხმაურნენ ოზურგეთის თეატრის ღვაწლმოსილი მსახიობი იური ჯიჯიეშვილი, ცნობილი ფოლკლორისტი, მოკრიმანჭულე ჟუჟუნა ბაბილოძე, ქორეოგრაფი ვაჟა ახვლედიანი, რომლებმაც უანგაროდ გადმოგვცეს მათ პირად არქივში არსებული საგაზეთო სტატიები, აფიშები, ფოტოები, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებთ მათ.

კულტურის ცენტრი კვლავ მოგმართავთ თხოვნით, მონაწილეობა მიიღოთ არქივის აღდგენის საქმეში და მოგვაწოდოთ თქვენს ხელთ არსებული მასალები, რომლებსაც შესაბამისი დამუშავების შემდეგ დაგიბრუნეთ უკან.

ნატო ლოლიძე,
არქივის სპეციალისტი.

ბათუმის უნივერსიტეტი თბილად მიესალმა თავის აღზრდილს

მიმდინარე წელი პროფესორ იური სიხარულიძის საიუბილეო წელია. ახლახან მას 85 წელი შეუსრულდა. პირველად ეს თარიღი ოზურგეთმა აღნიშნა, შემდეგ–მეცნიერის მშობლიური სოფლის გოგოლესუბნის სკოლამ. ამას მოჰყვა ბუკისციხის საშუალო სკოლა და ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის 1961 წლის გამოშვება.

2011 წლის 1 ივლისს თავის აღზრდილს დიდი გულითადობით შეხვდა ბათუმის უნივერსიტეტი.

საგანგებო სამეცნიერო სესია, რომელიც პროფესორ იური სიხარულიძეს მიეძღვნა, გახსნა უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ალ. ბაკურაძემ და სპეციალური ადრესი გადასცა იუბილარს.

ამის შემდეგ ღვწლმოსილ პროფესორს აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე მიხეილ მახარაძე მიესალმა.



სამეცნიერო სესიაზე თემებზე: „იური სიხარულიძე–სახელოვანი პროფესორი,“ „ტბელ აბუსერიძის მკვლევარი,“ „პედაგოგი,“„ძვირფასი მოძღვარი,“„საისტორიო გეოგრაფიის მკვლევარი,“„ეთნოლოგიის მკვლევარი,“მოხსენებებით გამობრძანდნენ პროფესორები: ოთარ გოგილიშვილი, რამაზ ხალვაში, იური ბიბილეიშვილი, შუშანა ფუტკარაძე, სიმონ გოგიტიძე, თამაზ ფუტკარაძე, ციური ქათამაძე, მერაბ მეგრელიშვილი, შოთა მახარაძე, გურამ ჩაგანავა.

სამეცნიერო სესიის მუშაობა შეაჯამა სხდომის თავმჯდომარე, პროფესორმა თამაზ ფუტკარაძემ.

ამის შემდეგ იუბილარს მრავალი მეცნიერი მიესალმა, მათ შორის პროფესორები ნოდარ ბარამიძე, რამაზ სურმანიძე, კახაბერ სურგულაძე, რევაზ უზნაძე, სერგო დუმბაძე, ერმალო მესხია, თამაზ ბერაძე, ნაზი მიქელაძე, ბიჭიკო დიასამიძე, ნიაზ ბოლქვაძე, რევაზ დიასამიძე, ონისე სურმანიძე.

საიუბილეო საღამოს ორგანიზატორების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მისდამი მიძღვნილ სამეცნიერო სესიას მშვენიერი წიგნი უძღვნეს, რომელშიც ყველა მოხსენებაა დაბეჭდილი რუსული და ინგლისური რეზიუმების თანხლებით ((რედაქტორი ნანა ხახუტაიშვილი).

ამაგდარი მუზეუმელი-მაკარ თავდუმაძე

ოზურგეთის ისტორიული მუზეუმის ფონდების შევსებაში დიდი წვლილი მიუძღვის მუზეუმის ყოფილ მეცნიერ-თანამშრომელს აწ განსვენებულ მაკარ თავდუმაძეს, რომელიც პროფესიით აგრონომი იყო. იგი დაიბადა 1892 წლის 4 თებერვალს სოფელ ექადიას (უბანი ბასრა).

დაამთავრა ექადიის სამრევლო სკოლა .შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და სუბტროპიკულ ინსტიტუტში. რომელიც დაამთავრა 1932 წელს და მიენიჭა უმაღლესი კვალიფიკაციის აგრონომის წოდება. თავისი სპეციალობით წლების მანძილზე მუშაობდა ანასეულის ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა კვლევით სამეცნიერო ინსტიტუტში, ექადიის კოლმეურნეობაში. ურეკის სანერგე მეურნეობაში. ურეკში იგი ღირსეულად უძღვებოდა უბანს.მაგრამ შემთხვევითმა არქეოლოგიურმა აღმოჩენებმა, რომლებიც მაშინ ძალიან ხშირი იყო, აიძულა შესანიშნავი მამულიშვილი შეეტანა ცვლილება პროფესიაში და უნიკალური საისტორიო ძეგლების გადარჩენასა და დაცვაზე ეზრუნა. ამ განზრახვამ აგრონომი 1958 წელს მუზეუმში მიიყვანა და თავისი ცხოვრების უდიდესი ნაწილიც სამუზეუმო საქმიანობას მიუძღვნა.

გარდა იმისა, რომ ის საისტორიო ძეგლების პოპულარიზაციისათვის ენერგიულად ზრუნავდა, სკოლებსა და საწარმოო დაწესებულებებშიც ხშირად გამოდიოდა ლექციებით საინტერესო თემებზე. აქტიურ მონაწილეობას იღებდა პროფესორ იური სიხარულიძესთან ერთად სამეცნიერო ექსპედიციებში. 1963 წელს მოეწყო მუზეუმის სამეცნიერო ექსპედიცია მდინარე აკიშას ხეობაში. ექსპედიციის ხელმძღვანელი იყო მუზეუმის მაშინდელი დირექტორი ნიკოლოზ წიტაიშვილი, წევრები: იური სიხარულიძე, მაკარ თავდუმაძე. ხუთი დღის განმავლობაში ექსპედიციის წევრები სწავლობდნენ აკიშას ხეობის სიძველეებს. მოინახულეს და გადაიღეს შემოქმედის ორი ეკლესია ღვთაებისა და ფერისცვალების, გორისფერდის წმ. გიორგის ეკლესიის ნანგრევები (დეტალები). უნდა აღინიშნოს, რომ დღეისათვის მუზეუმის ფონდებში შემონახულია მაკარ თავდუმაძის არა ერთი ნაშრომი და კვლევა, როგორიცაა:„სერის უბნის განძი", „ქვაჯვარები გურიაში", „ციხისძირიდან მალთაყვამდე", „ჩაის კულტურის ისტორია და მისი განვითარება" და მრავალი სხვა.

ღვაწლმოსილი მუშაკი გარდაიცვალა 1972 წელს. დაკრძალული არის ექადიის სასაფლაოზე.

მაკარი თავდუმაძე იყო, არის და იქნება ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენელი ოზურგეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმისა, რომელიც წლების მანძილზე უმწიკვლოდ ემსახურებოდა თავის საყვარელ საქმეს.

მანანა ლომაძე,
ოზურგეთის ისტორიული
მუზეუმის ფონდების მთავარი მცველი.

* * *

მაკარ თავდუმაძე ოზურგეთის მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელთა კოჰორტის მარად დაუვიწყარ წევრთა შორისაა.

მას სტუდენტობას გავეცანი, როდესაც პირველად ვეწვიე ოზურგეთის მუზეუმს.

როდესაც ლექტორი გავხდი (1949 წელს), ჩემი სტუდენტებიც ვიზიარე ამ მუზეუმს. მეგზურობას ბატონი მაკარი გვიწევდა.

სტუდენტებს ძალიან მოეწონათ არა მარტო მისი ცოდნა, არამედ უშუალობაც.

მას შემდეგ, რაც გურიის ისტორიულ-გეოგრაფიული კვლევები დავიწყე, უფრო ხშირად ვხვდებოდი მას.

ბატონი მაკარი ასაკით მამაჩემის ტოლი იყო, მაგრამ ჩემთან მეგობრობას არ თაკილობდა და ხალისით დამყვებოდა ამა, თუ იმ სოფელში.

გარდა სამეცნიერო ძიებისა, ჩვენ ზოგჯერ ერთობლივ ლექციებსაც ვატარებდით სკოლებსა თუ კოლმეურნეობებში. და არა მარტო ოზურგეთის რაიონში, არამედ ჩოხატაურისა და ლანჩხუთის რაიონებშიც.

საინტერესოა, რომ ისეთ შორეულ სოფლებსაც კი ვეწვიეთ, როგორიცაა თავსურები (ჩოხატაურის რ-ნი). ვიყავით სოფელ ტობაჩჩოსაც, მაგრამ აქ მხოლოდ სამეცნიერო ძიებით შემოვიფარგლეთ.

ერთხელ სურების მთების საძოვრებსაც ვეწვიეთ და ჯაჯის ტბამდეც მივაღწიეთ. შუაგორის იალაღზე თბილად მიგვიღო მწყემსმა ივანე შენგელიამ და კარგადაც გაგვიმასპინძლდა.

ბატონი მაკარი პროფესიით აგრონომი ბრძანდებოდა და ამ დარგსაც თვალსაჩინო კვალი დაატყო, მაგრამ უფრო დიდხანს დასტრიალებდა თავს ქართულ საისტორიო საუნჯეს. მის მაღალ კაცურ თვისებებს დავიწყება არ უწერია. ვინ მოთვლის რამდენჯერ ვყოფილვართ მის დიდებულ ოჯახში ბასრას.

ბატონი მაკარის ნაადრევი გარდაცვალება დიდი დანაკლისი იყო არა მარტო ჩემთვის, არამედ მთელი ქართული საისტორიო წყაროთმცოდნეობისათვის.

ის ჩვენი სიძველეების ისეთივე დაუცხრომელი მოღვაწე გახლდათ, როგორიც ბესარიონ გოგოლიშვილი ბრძანდებოდა ფოთს, ალითმან ქათამაძე ბათომს, ბენიამინ ივერიელი ბორჯომს და ა.შ.

ეს პიროვნებები დავიწყების ბურუსში არ შეიძლება მოექცნენ. მათი უანგარო ღვაწლი მარადიული ხსოვნის ღირსია. სხვადასხვა დროს ისინი მეც არაერთხელ გამიხსენებია ცენტრალურ, თუ რეგიონალ პრესაში, მაგრამ მეტია საჭირო.

იური სიხარულიძე,
საქართველოს ბიზნესის
მეცნიერებათა აკადემიის წევრი,
ვაჟა ფშაველასა და ივანე
ჯავახიშვილის სახელობის პრე-
მიების ლაურეატი, პროფესორი.

სოფლის სახელოვანი ადამიანები

იასე რაჭველი

სოფ. ბაილეთში ბევრი სახელოვანი მამულიშვილი დაბადებულა და აღზრდილა, რომელთა სახელები ჯერ კიდევ ნაკლებად არის ცნობილი ფართო საზოგადოებისათვის.

ერთ-ერთი მათგანია მწერალი იასე რაჭველი-მეხუზლა, რომელიც 1860 წელს დაბადებულა ბაილეთში. იასე მშობლებს–ქალბატონ ანას და ბატონ მაქსიმეს სოფლის ერთკლასიან სამრევლო სკოლაში შეუყვანიათ, სადაც მასწავლებლად მუშაობდა რაჭიდან ჩამოსული ღრმად განსწავლული პიროვნება, ბესარიონ ჭიჭინაძე. რადგან სკოლა ადრე დაუხურავთ, პატარა იასე, რომელიც უდიდეს ინტერესს იჩენდა სწავლისადმი, მას მშობლიურ რაჭაში წაუყვანია და იქ ორკლასიან სასწავლებელში შეუყვანია. იასეს სკოლა წარჩინებით დაუმთავრებია, იქვე დაუწყია სამწერლო მოღვაწეობა და თავისი მასწავლებლის პატივსაცემად ფსევდონიმად რაჭველი აურჩევია. 15 წლის შემდეგ დაბრუნებულა იასე გურიაში და აქ გაუგრძელებია მუშაობა. შემდეგ კი კონსტანტინეპოლში გამგზავრებულა და იქ გაუჩაღებია ნაყოფიერი შემოქმედებითი საქმიანობა.

იასე კონსტანტინეპოლში ბერძნის ქალზე დაქორწინდა, რომელთანაც შესძენია ქალიშვილი ნინო. მეუღლე ადრე გარდაცვლია და ნინო საქართველოში ჩამოუყვანია. ნინო შემდგომში შალვა ნაკაშიძეზე დაქორწინდა, რომელთანაც ორი შვილი შეეძინა-ნათელა და ევსევი, შემდგომში ცნობილი პიროვნებები, რომლებთანაც ინახებოდა მწერლის ხელნაწერების დიდი ნაწილი.

1908 წელს იასე მეორედ დაქორწინდა თანასოფლელ ცავია ნიკოს ასულ მამულაიშვილზე და მასთან ერთად ლიტერატურული მოღვაწეობის გასაგრძელებლად ლაგოდეხში გადასულა, სადაც იგი გარდაცვალებამდე იმყოფოდა. იასე 59 წლის ასაკში ტვინის ანთებით გარდაიცვალა. იგი მშობლიურ სოფელ ბაილეთში, წმინდა გიორგის ეკლესიის სასაფლაოზე დაკრძალეს. მისი ძეგლის თავთან ქვაზე, სადაც ვაზი, ვაზის მტევანი და ფოთლები იყო გამოკვეთილი იყო წარწერა: „ამა ძეგლის ქვეშ განისვენებს გვამი იასე რაჭველი მეხუზლასი, საზოგადო მოღვაწე, მწერალი, ბელეტრისტი. დაიბადა 1860 წელს, გარდაიცვალა 1919 წელს.“ სამწუხაროდ, ძეგლი დროთა განმავლობაში დაიშალა და განადგურდა. ქალბატონ ცავიას იასესთან შვილი არ გასჩენია, მაგრამ ერთგული დარჩა ქმრის. სიკვდილის ბოლომდე სიყვარულით უვლიდა მის შვილს, შვილიშვილებს, სათუთად ინახავდა მწერლის ხელნაწერებს.

იასეს კალამს ეკუთვნოდა რომანები „მეექვსე ნომერი,“ „რაშია ბედნიერება,“ პოემა „მარიანა,“ მოთხრობები „უმანკო მსხვერპლი,“ „ფერი ფერსა, მადლი ღმერთსა,“ „მართალი კაცი,“ და მრავალი სხვა, რომლებიც ამჟამად დაცულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, თბილისის ცენტრალურ არქივში.

ამირან მამულაიშვილი,

ელენე ლომაძე პრესტიჟულ სამუსიკო სასწავლებელში ჩაირიცხა

მარი კოკოევი

14 წლის ელენე ლომაძე ბათუმის პრესტიჟულ სამუსიკო სასწავლებელში ჩაირიცხა. იგი სწავლას კლასიკური მუსიკის განხრით გააგრძელებს. ელენემ სასწავლებელში მოსახვედრად ორივე გამოცდაში უმაღლესი შეფასება მიიღო და საუკეთესო აბიტურიენტად დასახელდა.

ელენემ ოზურგეთის გრ. კილაძის სახელობის სამუსიკო სკოლა დაამთავრა. მისი პედაგოგი ლეილა ლომაძე ამბობს, რომ ელენე განსაკუთრებული ნიჭიერებით გამოირჩევა და წინ დიდი წარმატებები ელოდება. ელენე სოლო კონცერტს გეგმავს.

წარმატებულ მოსწავლეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ალეკო მამეშვილი შეხვდა, წარმატება მიულოცა და მომავალში წინსვლა უსურვა. შეხვედრას ელენეს დედა, მასწავლებელი და სამუსიკო სკოლის დირექტორი ესწრებოდა.

შეხვედრა სასოფლო კლუბის მუშაკებთან

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის დაქვემდებარებაში მყოფი სასოფლო კლუბების მუშაკები ტრადიციულად თვეში ერთხელ იკრიბებიან მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრში. აქ მათ ცენტრის საკლუბო მუშაობის მთავარი სპეციალისტები ნ. ცეცხლაძე, ვ.კონჯარია, მ. მიქატაძე უწევენ კოორდინაციას.

ამჯერად კლუბების გამგეებმა 6 თვეში გაწეული მუშაობის ანგარიში წარმოადგინეს და ახალი სამომავლო პროექტები განიხილეს. კულტურის ცენტრი სასოფლო კლუბებში განახორციელებს პროექტს „სოფელო, ჩემო სოფელო,“ სადაც კლუბები სოფლის მოსახლეობის შემოქმედებით ძალებს წარმოაჩენენ.

ოზურგეთელი მოჭიდავეები საერთაშორისო ტურნირებზე

ქ. რუსთავში ჩატარდა მსოფლიო ჩემპიონის თემურ ყაზარაშვილის სახელობის საერთაშორისო ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში კადეტებს შორის.

85 კგ. წონით კატეგორიაში II საპრიზო ადგილი ოზურგეთელმა გიორგი მდინარაძემ დაიკავა (მწვ. გ. მაჭარაშვილი). მანამდე გიორგი ირანში გამოდიოდა დიდ საერთაშორისო ტურნირზე და V ადგილი დაიკავა.

ჭიდაობის ამ სახეობაში საერთაშორისო ტურნირი ქ. ბაქოშიც გაიმართა, სადაც მძიმე წონაში III საპრიზო ადგილი რევაზ ჭელიძემ დაიკავა (მწვ. ანზორ ლომაძე).

ორთავე სპორტსმენი ოზურგეთის სასპორტო სკოლის აღზრდილია.

ჩემპიონები სასულიერო გიმნაზიის ფრენბურთელები გახდნენ

ოზურგეთის სპორტის განვითარების ცენტრის დარბაზში 8 ფრენბურთელთა გუნდი ეცილებოდა ერთმანეთს ჩემპიონობის ტიტულს. (მთ. მსაჯი კ. ინწკირველი). ტურნირში მონაწილეობდნენ ოზურგეთის 10-გზის ჩემპიონი ვაკიჯვრის, ჭანიეთის, მელექედურის, შემოქმედის, ასკანის, ქ. ოზურგეთის „ჯაკო,“„ზვანი,“ და წმ. ნინოს სახელობის სასულიერო გიმნაზიის გუნდები.

ფინალში „ზვანი“ და სასულიერო გიმნაზიის გუნდები შეხვდნენ ერთმანეთს. პირველი ორი ტური გამოცდილმა „ზვანის“ გუნდმა მოიგო. მე-3 შეხვედრაში სასულიერო გიმნაზიის გუნდმა შეძლო თამაშში გარდატეხის შეტანა, რაშიც მოსწავლეების გვერდით მოთამაშე მათმა მწვრთნელმა სერგო რობაქიძემ შეიტანა დიდი წვლილი და გაიმარჯვეს. მომდევნო შეხვედრაც გარდამავალი უპირატესობით წარიმართა და კვლავ სასულიერო გიმნაზიის გუნდმა იმარჯვა.

გადამწყვეტ შეხვედრაში ორთავე გუნდს ჰქონდა გამარჯვების თანაბარი შანსი. შეხვედრის მიწურულს „ზვანელები“ იყვნენ წინ, მაგრამ რამდენიმე მძიმე შეცდომა დაუშვეს და გიმნაზიელებმა ოზურგეთის ჩემპიონის ტიტული მოიპოვეს.

გამარჯვებულებს წარმატება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ალეკო მამეშვილმა და სპორტის მესვეურებმა მიულოცეს. მათ გარდამავალი თასი გადაეცათ.

საუკეთესო მოთამაშის პრიზი სერგო რობაქიძეს, ყველაზე პატარა მონაწილის- პაატა ჯაშს (ორთავე გიმნაზია) და ვეტერანი ფრენბურთელის პრიზი, ზვანელ დემურ მამულაიშვილს გადაეცათ.

გამარჯვებულ გუნდში გამოდიოდნენ: გიორგი, ვასიკო თავბერიძეები, თორნიკე ჩხარტიშვილი, საბა ბურჭულაძე, ირაკლი მჟავანაძე, გიორგი ხინთიბიძე, მელის ნადირიძე.

სამკურნალო ცენტრ „ძლევაში“ შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგი სახის მომსახურება:

1. ექიმის კონსულტაცია (კარდიოლოგი, თერაპევტი);
2. ციფრული რენტგენი;
3. თავის ტვინის და ყბა-სხის ტომოგრაფიული გამოკვლევა (სინოგრაფია);
4. ექოსკოპია;
5. კლინიკური (სისხლის და შარდის საერთო) და ბიოქიმიური (შაქარი, პროთრომბინი, ქოლესტერინი, კოაგულოგრამა, რევმატიული სინჯები) ანალიზები;
6. სტომატოლოგიური კაბინეტი (ტურბო ბორ-მანქანა);
7. ინტრავენური ინექციები, სამკურნალო მასაჟი და ფიზკულტურა;
8. რეანიმობილის მომსახურება სხვადასხვა ქალაქში შეღავათიან ფასში;
9. ჰომეოპატიური წამლებით მკურნალობა (არაქიმიური, მცენარეული წამლები გერმანული სააფთიაქო კომპანია „HEEL“-ისაგან.

ზემოთაღნიშნული მომსახურება წარმოებს ბინაზეც (ექოსკოპია, კარდიოგრამა, ლაბორატორიული მომსახურება). პაციენტებისათვის მისაღები, შეღავათიანი ფასები.

ტელ: 790 7527 87, 599 177527

მესაჭიროება

სამედიცინო საქმის მცოდნე დამხმარე
პიროვნება 30-დან 40 წლის ასაკამდე.
დაგვიკავშირდით დღის მეორე ნახევარში.
ტელ: (595) 53 41 65.

იყიდება

5 თვალი ხის სახლი (მასზე შეიძლება
მანსარდის მოწყობაც).
დაგვიკავშრდით
ტელ. (593) 13 91 01.

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№1. ტელ: 858 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311

რედაქტორი ნუგზარ ასათიანი
ელ. ფოსტა: nugzarasatiani@rambler.ru

კომპიუტერული უზრუნველყოფა გია გოგოლაძე